საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

2013 წლის ანგარიში

სამინისტროს დეპოლიტიზება და რესტრუქტურიზაცია

- დეპოლიტიზება ითვალისწინებდა პოლიტიზებული ძალოვანი სტრუქტურების ნაცვლად დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სამართალდამცავი სტრუქტურების შექმნას;

- 2012 წლის ნოემბრიდან სამინისტრო გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან და ჩამოყალიბდა როგორც საზოგადოებაზე ორიენტირებული ორგანიზაცია;

- შს მინისტრის **2013** წლის **12** სექტემბრის **N 713** ბრძანება „არჩევნების პერიოდში შსს–ს მოსამსახურეთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ავალდებულებს შსს–ს თანამშრომლებს ნეიტრალურობისა და მიუკერძოებლობის დაცვას.

სამინისტროს დეპოლიტიზება და რესტრუქტურიზაცია

- **2012 წლის ნოემბერში გაუქმდა კუდ-ი და სოდ-ი;**
- შეიქმნა **ანტიკორუფციული** და **სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოები;**
- **ანტიკორუფციული სააგენტო** ახორციელებს საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის გამოვლენას, სამოხელეო და კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას;
- **სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტო** უზრუნველყოფს ქვეყნისთვის მოსალოდნელი საფრთხეების პროგნოზირებას, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის გამოვლენასა და აღკვეთას, კონსტიტუციური წყობილების ძალადობრივი გზით შეცვლისგან დაცვას;
- შეიქმნა **ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი**.

სამინისტროს დეპოლიტიზება და რესტრუქტურიზაცია

- 2012 წლის ნოემბერში სამინისტროს სისტემაში პოლიტიკისა და დაგეგმვის პროცესების ინსტიტუციონალიზაციის მიზნით, შეიქმნა **რეფორმებისა და განვითარების სააგენტო;**

- საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს გამოეყო **საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახური** და ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ სტრუქტურულ დანაყოფად;

- შსს-ს ადმინისტრაციას გამოეყო და დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბდა **ადამიანის უფლებების დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველო.**

ოპერატიულ-სამორიგეო სამსახურის განვითარება

- 2013 წლის თებერვალში შსს-ს ადმინისტრაციის ოპერატიულ-სამორიგეო სამსახური აღიჭურვა **ვიდეოკედლითა** და **უახლესი მოდელის სერვერით;**

- მასში ასახულია სხვადასხვა სახის **ტექნიკური სიახლე, სტატისტიკური მონაცემები და ცალკეული ოპერატიული დანაყოფების მიერ დასახული ამოცანები;**

- სერვერთან დაკავშირებულია **თბილისის გარემეთვალყურეობის კამერები, ჩატვირთულია სხვადასხვა სახის დეტალური რუკები (თბილისის, რეგიონების);**

- 2013 წლის იანვრიდან მიმდინარეობს მუშაობა **კრებსის მომზადების გაუმჯობესებულ პროგრამაზე**. აღნიშნულის საშუალებით, მომხდარი დანაშაულის შესახებ ინფორმაცია მომენტალურად, 24 საათიან რეჟიმში, აისახება რუკაზე.

ადამიანის უფლებების დაცვა

- 2013 წლის 15 თებერვალს ამოქმედდა შინაგან საქმეთა სამინისტროს **გენერალური ინსპექციის 24 საათიანი ცხელი ხაზი - „126“;**

- **გაიზარდა შსს-ს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს მონიტორინგის სამმართველოს ფუნქციები და შემადგენლობა.** დროებითი მოთავსების იზოლატორების **(დმი) საქმიანობა გახდა ტრანსპარენტული.** ბოლო 10 თვის განმავლობაში, მონიტორინგის მიზნით, დმი-ებში სახალხო დამცველის წარმომადგენლებისა და უცხოელი უფლებადამცველების მიერ **90-ზე მეტი** ვიზიტი განხორციელდა;

- 2012 წლის დეკემბერში, **დროებითი მოთავსების ყველა იზოლატორის დერეფნებში დამონტაჟდა ვიდეოკონტროლის სისტემები.** დმი-ში არასათანადო მოპყრობის ფაქტების პრევენციისა და გამოვლენის მიზნით, **შემუშავდა დაკავებულთა საჩივრებზე რეაგირების ეფექტიანი სისტემა;**

- განხორციელდა დმი-ს ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. 2013 წლის 18 მარტს **ფოთში** და 23 აგვისტოს **ზესტაფონში** გაიხსნა **ახალი დროებითი მოთავსების იზოლატორები**. თბილისის დმი-ში მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები;

- დაკავებულ ქალთა უფლებების დაცვის მიზნით, დროებითი მოთავსების იზოლატორებში **გაიზარდა ქალ თანამშრომელთა რაოდენობა;**

- პერმანენტულად ხორციელდება იზოლატორების თანამშრომელთა ტრენინგი **პირველადი გადაუდებელი დახმარების, ფსიქოლოგიური საჭიროებების გამოვლენისა და ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტების** კუთხით;

- 2012 წლის ნოემბრიდან დღემდე, დმი-ში **ადამიანის უფლებების დარღვევის არცერთი ფაქტი** არ დაფიქსირებულა.

სამინისტროს საქმიანობის საჯაროობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა

- განსაკუთრებული ყურადღება ექცევა **სამინისტროს სისტემის გამჭვირვალობასა** და **საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას**;

- განახლდა შსს-ს ვებგვერდი **www.police.ge;**

- 2013 წლის მაისში შეიქმნა **მობილური აპლიკაციის სერვისი.** აღნიშნულის საშუალებით, დაინტერესებული პირები მობილური ტელეფონით ეცნობიან ახალ ამბებს, საგზაო მოძრაობის წესებსა და სხვა მონაცემებს, იხდიან ჯარიმებსა და სავიზო განაცხადის საფასურს და ა.შ.;

- **შემუშავდა ხშირად დასმული 200-მდე კითხვა-პასუხი (FAQ) და განთავსდა სამინისტროს ვებ - და Facebook – ის გვერდებზე, ასევე მობილურ აპლიკაციაში;**

- განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პიროვნების **პერსონალური მონაცემების** დაცვას. 2013 წლის 15 აგვისტოს მთავრობის დადგენილებით, შეიქმნა **უკანონო მიყურადებისა და ფარული ჩანაწერების საკითხებზე მომუშავე დროებითი კომისია**, რომელსაც თავმჯდომარეობს შს მინისტრი. კომისიას დაევალა შსს-ს სისტემაში აღმოჩენილი უკანონოდ მოპოვებული მასალის აღრიცხვა, სისტემატიზაცია, ანალიზი, განადგურების ან/და დაარქივების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

- აღნიშნული კომისიის გადაწყვეტილებით, 2013 წლის სექტემბერში განადგურდა პირადი ცხოვრების ამსახველი ფოტო/ვიდეო მასალის ნაწილი.

საზოგადოებრივი მართლწესრიგისა და საგზაო უსაფრთხოების უზრუნველყოფა

შსს-ს სტრუქტურული ერთეულების შესაძლებლობების გაუმჯობესება

- 2013 წლის 18 მარტს **ფოთში**, ხოლო 23 აგვისტოს **ზესტაფონში,** გაიხსნა პოლიციის ახალი შენობები;

- 2013 წლის თებერვლიდან დაიწყო და 2013 წლის ბოლომდე დასრულდება **100–მდე სამშენებლო/სარემონტო პროექტი** (მათ შორის, პოლიციის ახალი შენობების მშენებლობა სოფელ ეწერში, გორისაში და გუდაურში, აგრეთვე შსს-ს ადმინისტრაციული შენობების სარემონტო სამუშაოები);

- 2013 წელს დაიწყო და 2014 წელს დასრულდება შემდეგი სამშენებლო პროექტები: **აჭარის, იმერეთის, კახეთის** რეგიონების სამხარეო მთავარი სამმართველოების ადმინისტრაციული შენობები;

- სტრუქტურული ერთეულების ავტოპარკი განახლდა **570** ერთეული **სედანის, პიკაპისა** და **ჯიპის** ტიპის ავტომანქანით.

საზოგადოებრივი მართლწესრიგისა და საგზაო უსაფრთხოების უზრუნველყოფა

საპატრულო პოლიციის შესაძლებლობების გაუმჯობესება

- საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში განხორციელდა **სტრუქტურული რეორგანიზაცია;**

- ქვეყნის მასშტაბით **30%-ით** გაიზარდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟების რაოდენობა (თბილისში **60-დან 125-მდე**, სამეგრელოში **14-დან 20-მდე**). **გაიზარდა მოქმედების არეალი, დაიფარა აუთვისებელი მიმართულებები;**

- **საპატრულო პოლიციის ავტოპარკი განახლდა ახალი მოდელის ავტომანქანებით** (360 ერთეული, მათ შორის კახეთი - 17, მცხეთა-მთიანეთი - 9, შიდა ქართლი - 16, გორი-თბილისის ავტომაგისტრალზე დამატებით - 2, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი - 25, აჭარა და ბათუმი - 28, მოტოციკლები);

- 2013 წლის 15 აგვისტოდან, ბათუმის ბულვარის მთელს პერიმეტრს **4 ახალი ელექტრომობილი** ემსახურება. 2013 წლის ივნისში სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს გადაეცა **რამდენიმე ერთეული კვადროციკლი** (უგზოობის პირობებისთვის);

- მიმდინარეობს საპატრულო პოლიციის **ორი ახალი შენობის მშენებლობა იმერეთში, ასევე თელეთის, გომბორის განყოფილებების, ქუთაისის, ზუგდიდის მთავარი სამმართველოების შენობების სარემონტო სამუშაოები.**

საზოგადოებრივი მართლწესრიგისა და საგზაო უსაფრთხოების უზრუნველყოფა

- განხორციელდა საპატრულო პოლიციის **რებრენდინგი;**
- შეიცვალა **ავტომობილების შეფერილობა** აღქმადობისა და ვიზუალური **გარჩევადობის გაზრდის** მიზნით;
- ავტომანქანები აღიჭურვა **თანამედროვე ვიდეოსამეთვალყურეო კამერებით, ბორტკომპიუტერებითა** და **თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებით** (მობილური და მანქანის რაციები);
- **დაიხვეწა და მთლიანად შეიცვალა საპატრულო პოლიციის უნიფორმა** (შარვლები, პერანგები, ფეხსაცმელები, ბეჯები, კოკარდები);
- საპატრულო პოლიციის ოფიცრები აღიჭურვნენ **სამხრე ვიდეოკამერებით, პრომილეს მზომი ახალი ალკოტესტებითა** და **ელექტროშოკებით.**

საზოგადოებრივი მართლწესრიგისა და საგზაო უსაფრთხოების უზრუნველყოფა

საგზაო უსაფრთხოების სისტემების დანერგვა/მოდერნიზაცია

- საქართველოს ძირითად საავტომობილო გზებსა და ქალაქების ქუჩებში **დამატებით დამონტაჟდა 29** (ავტომაგისტრალებზე-12, ხოლო თბილისში-17 რადარი) **ზედამხედველობის ავტომატიზებული სისტემა;**

- საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები აღიჭურვა **GPS სისტემით** ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილის ზუსტად დაფიქსირების, სახიფათო მონაკვეთების განსაზღვრისა და უსაფრთხოების შესაბამისი ზომების გატარების მიზნით;

- საპატრულო პოლიციის დაკვეთით ხდება საგზაო ნიშნებისა და შუქნიშნების მონტაჟი. თბილისში დამონტაჟდა **3000–მდე საგზაო ნიშანი**. საჯარო სკოლების და სკოლამდელი დაწესებულებების მიმდებარედ - **750 საგზაო ნიშანი**. სავალ ნაწილზე დამონტაჟდა **1800 გრძივი მეტრი ე.წ. სიჩქარის შემზღუდავი ბარიერები;**

- გასულ წელთან შედარებით, პრევენციული ღონისძიებების გატარების შედეგად, ავტოსაგზაო შემთხვევებში გარდაცვლილთა რაოდენობა **60%-ით** შემცირდა.

2013 წლის სტრატეგიის, საკანონმდებლო/კანონქვემდებარე აქტების შემუშავება

- შსს-ში პირველად შემუშავდა **სამინისტროს სისტემის განვითარების სტრატეგია**. დოკუმენტში ხაზგასმულია სამინისტროს წინაშე არსებული **გამოწვევები, პრიორიტეტები და გასატარებელი ღონისძიებები;**

- 2013 წლის 4 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო შსს-ს მიერ ინიცირებული ახალი კანონი **„პოლიციის შესახებ“ და კანონი „სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“;**

- განხილვის ეტაპზეა **საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების პროექტი** და **„საგზაო მოძრაობის შესახებ“** საქართველოს კანონის პროექტი, რომლებსაც პარლამენტი უახლოეს მომავალში მიიღებს.

2013 წლის სტრატეგიის, საკანონმდებლო/კანონქვემდებარე აქტების შემუშავება

- შსს-ს მიერ ასევე შემუშავებულია **„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“** საქართველოს კანონის პროექტი, **„უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“** საქართველოს კანონის პროექტი, **ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი**, აგრეთვე **„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“** საქართველოს კანონის პროექტი;

- 2013 წლის 17 მაისს შს მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა **პოლიციის ეთიკის კოდექსი** და **პოლიციელთა ქცევის ინსტრუქციები**. აღნიშნული დოკუმენტები შსს-ს სისტემაში პირველად შემუშავდა;

- შს მინისტრის 2013 წლის 16 აგვისტოს №644 ბრძანებით, ამნისტიის ან შეწყალების აქტის საფუძველზე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლებული პირები, შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში, მიიღებენ ნასამართლობის შესახებ ცნობას, **რომელშიც მითითებული იქნება ნასამართლობის არქონა.**

ადამიანური რესურსები

- 2013 წლის 23-24 თებერვალს, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საქართველოს მასშტაბით **პირველად გაიმართა მთელი ოპერატიული შემადგენლობის ტესტირება** (პატრულ-ინსპექტორები, უბნის ინსპექტორები და დეტექტივ-გამომძიებლები);

- შსს-ს სტრუქტურული დანაყოფების თანამშრომლები, დონორი ქვეყნებისა და ორგანიზაციების მხარდაჭერით, მონაწილეობენ **კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებსა და სასწავლო ვიზიტებში;**

- 2013 წლის ივლისიდან **კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებს** ეტაპობრივად გადიან შსს-ს კადრების მთავარი სამმართველოსა და სხვა სტრუქტურული ერთეულების საკადრო დანაყოფების თანამშრომლები;

- 2013 წლის ივნისიდან შსს-ს სხვადასხვა დანაყოფში სტაჟირება/სამუშაო პრაქტიკა 119-მა სტუდენტმა გაიარა. მათგან შსს-ს სისტემაში **დასაქმდა 11**, ხოლო უახლოეს მომავალში დამატებით **დაინიშნება 10 პირი;**

- სამინისტრო დასაქმების თანაბარ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს ორივე სქესის პირთათვის. დღეისთვის, შსს-ს სისტემაში დასაქმებულ ქალთა რაოდენობა გაზრდილია **5472-დან 5490-მდე**. მომავალი ორი წლის განმავლობაში მათი რაოდენობა **12-დან 20 %**-მდე გაიზრდება;

- 2013 წელს სამინისტროში **პირველად აღინიშნა ქალთა საერთაშორისო დღე - 8 მარტი**. ამ თარიღის აღსანიშნავად **47 თანამშრომელი ქალბატონი დაჯილდოვდა მედლით - „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის“.**

დანაშაულთან ბრძოლა

- შსს ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობის დადგენილებით შექმნილ **ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორის საკოორდინაციო საბჭოს;**

- 2013 წლის 2 ოქტომბერს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა საბჭოს მიერ შემუშავებული **ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგია;**

- 2013 წლის აპრილში შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის **ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოში** ჩამოყალიბდა **3 მობილური ჯგუფი**, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ტრეფიკინგის რისკის შემცველი დაწესებულებების/ადგილების გამოვლენა და რისკჯგუფებს მიკუთვნებულ პირთა გამოკითხვა;

- შსს აქტიურად მონაწილეობს **ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ** ბრძოლის უწყებათშორისი საბჭოს ფარგლებში შექმნილ **საკანონმდებლო ხარვეზებსა და ცვლილებებზე მომუშავე ჯგუფში**;

- ფინანსთა სამინისტროსა და შსს-ს შორის ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს, **„საქართველოში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების უკანონო ბრუნვის გამოვლენის მიზნით თანამშრომლობის შესახებ“**.

დანაშაულთან ბრძოლა

- აშშ-ის სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს **(INL)** მხარდაჭერით, **მიმდინარეობს კინოლოგიური სამსახურის განვითარება;**

- შსს-სა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შორის ხელმოწერილი მემორანდუმის საფუძველზე შეიქმნა **ერთობლივი სამუშაო ჯგუფი**, რომელიც აყალიბებს პირველი ჯგუფისთვის მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის ლეგალური ბრუნვიდან უკანონო არხებში გადინების პრევენციის მექანიზმებს;

- 2012 წლის დეკემბერში შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში შეიქმნა **კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველო**, რომელიც მოიცავს 24/7 საერთაშორისო საკონტაქტო პუნქტს;

- 2013 წლის მაისში შსს-ში შეიქმნა **ჰაბიტოსკოპიური და კომპიუტერულ-ტექნიკური ექსპერტიზის განყოფილება**. მისი ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულებაა კომპიუტერული ტექნიკიდან, მობილური ტელეფონებიდან და ციფრული ინფორმაციის სხვა მატარებლებიდან ინფორმაციის მოპოვება, აღდგენა, გაშიფრვა და საექსპერტო ანალიზი.

დანაშაულთან ბრძოლა

- 2012 წლის ოქტომბრიდან დღემდე საპატიმრო დაწესებულებები დატოვა 16 892-მა პირმა. აღნიშნულის მიუხედავად, **ქვეყნის მასშტაბით იკლო დანაშაულის რიცხვმა** და **გაიზარდა მისი გახსნის მაჩვენებელი**. 2012 წლის 9 თვის მონაცემებთან შედარებით, 2013 წლის ანალოგიურ პერიოდში დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი 37.2 %-ით გაიზარდა და 57.2 % შეადგინა;

- 2012 წლის ნოემბრიდან, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, შსს-მ მრავალი ღონისძიება განახორციელა. მათ შორის:

- 2012 წლის ნოემბრიდან **შსს-ს მიერ დაკავებულია ექვსი ე.წ. „კანონიერი ქურდი“** (2012 წლის ნოემბერ-დეკემბერში - 5, 2013 წლის ივნისში - 1);

- 2013 წლის ივლისში შსს–ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტმა **116.5 კგ. ჰეროინი** ამოიღო. შსს–ს მიერ მსგავსი მასშტაბის ოპერაციას აქამდე ადგილი არ ჰქონია;

- 2013 წლის განმავლობაში შსს-ს მიერ ტრეფიკინგის მუხლით გამოძიება დაწყებულია **15 შემთხვევაზე.** ამათგან **4 შემთხვევაში მუხლი გადაკვალიფიცირდა, 4 საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება, ხოლო 7-ზე შესაბამის პირებს წაუყენეს ბრალი და საქმე გადაგზავნილ იქნა სასამართლოში.** 2013 წლის 8 აპრილს **არასრულწლოვნის გამოსახულების შემცველი პორნოგრაფიული ხასიათის სურათების** და **ვიდეოჩანაწერების უკანონო დამზადების, გავრცელებისა და გასაღებისთვის** დაკავებულ იქნა საქართველოს მოქალაქე, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეზე გამოცხადდა ძებნა. 2013 წლის 20 სექტემბერს **ტრეფიკინგის ფაქტზე დაკავებულ იქნა საქართველოს მოქალაქე,** რომელიც დაზარალებულს აიძულებდა სექსუალური მომსახურების გაწევას.

დანაშაულთან ბრძოლა

- 2013 წლის ივნისში, **სამეგრელოში** აღმოჩენილ იქნა **მიწისქვეშა სამალავები**, საიდანაც ამოღებულ იქნა დიდი ოდენობით ფეთქებადი ნივთიერებები, ასაფეთქებელი მოწყობილობები, ცეცხლსასროლი იარაღი, ნარკოტიკული და ძლიერმოქმედი ფსიქოტროპული ნივთიერებები, აგრეთვე წინა ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი პირების ფოტოსურათებისა და პირადი მონაცემების შემცველი არქივი;

- გარდა ამისა, სამალავებში ნაპოვნი იქნა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ **ადამიანების სასტიკი წამების, მათზე სექსუალური ძალადობის განხორციელების, ცემის, დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი მოპყრობის ამსახველი ვიდეომასალა.** აღნიშნულ ფაქტზე დაკავებულია 12 პირი (მათ შორის, 5 მოქმედი პოლიციელი და თავდაცვის სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი) და მიმდინარეობს გამოძიება;

- 2013 წლის 7 ივნისს, შსს-ში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც ეხება **ინტერნეტ სივრცეში საქართველოს მიმართ მუქარის შემცველი** ე.წ. **„ჯიჰადის ვიდეორგოლის“ გავრცელებას**. ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგენილ იქნა დანაშაულის ჩამდენი პირი - რუსეთისა და ყირგიზეთის ორმაგი მოქალაქე, რომელზეც გამოცხადებულია ძებნა;

- 2013 წლის ივნისში, შსს-მ **ტერორისტული აქტის ჯგუფურად მომზადების ფაქტზე დააკავა რუსეთის ფედერაციის ორი მოქალაქე.** ასევე, 2013 წლის 13 სექტემბერს, ქ. ბათუმში შსს-ს კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა დააკავეს რუსეთის ფედერაციის ერთი და საქართველოს ორი მოქალაქე;

- 2013 წელს, შსს-ს ახლადშექმნილი ანტიკორუფციული სააგენტოს აქტიური ქმედებების შედეგად, **გამოვლენილ** და **აღკვეთილ იქნა კორუფციისა** და **სხვა სამოხელეო დანაშაულის მრავალი შემთხვევა**. პასუხისგებაში მიეცა **45** პირი, მათ შორის: სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაღალჩინოსნები, გამგებელი და გამგებლის მოადგილე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, შემოსავლების სამსახურის აჭარის ბიუროს უფროსი, სკოლის დირექტორი და ა.შ.

სასაზღვრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა

- 2013 წლის აპრილიდან სანაპირო დაცვის დეპარტამენტის სარადარო სადგურ „სუფსაზე“ მიმდინარეობს **საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრის მშენებლობა;**

- **უმჯობესდება სახმელეთო საზღვრის უსაფრთხოება**. 2013 წლის მაისში აღდგენილ იქნა სექტორების „მუცოსა“ და „შატილის“ მისასვლელი გზები, ხოლო 2013 წლის აგვისტოში - სასაზღვრო სექტორ „სარფის“ საპატრულო გზა. მოხდა სექტორ „თრუსოს“ რეაბილიტაცია;

- მდინარე ალაზანზე ს/პ №4 სამმართველოს (დედოფლისწყარო) №7 სასაზღვრო სექტორის დასაცავ მონაკვეთზე 2013 წლის 12 აგვისტოს **დასრულდა დამბის მშენებლობა**;

- 2013 წლის აგვისტოში აღდგენილ იქნა ს/პ №2 სამმართველოს (ახალციხე) დასაცავი მონაკვეთის მიმართულებაზე არსებული მწყობრიდან გამოსული **ექვსი სათვალთვალო კოშკურა;**

- მიმდინარეობს სასაზღვრო სექტორების **„კარწახისა“** და **„სამების“** სამშენებლო სამუშაოები, რომელთა დასრულებაც 2013 წლის დეკემბერშია დაგეგმილი;

- სხვადასხვა სექტორისა და ბლოკ-პოსტისთვის შეძენილია **24 საცხოვრებელი კონტეინერი.** მთიან რეგიონებში დაწყებულია **28-მდე საგუშაგო ჯიხურის მოწყობა;**

- 2013 წლის 10 სექტემბერს გაიხსნა **დარიალის განახლებული სასაზღვრო გამტარი პუნქტი**, რომლის გამტარუნარიანობამ დღე-ღამეში **8000** ადამიანს მიაღწია;

- სასაზღვრო პოლიციას გადაეცა **ოთხი მი-8, ერთი მი-2** ტიპის **შვეულმფრენი** და **ერთი ah-28 ტიპის თვითმფრინავი**. სანაპირო დაცვას გადაეცა **მცირე საპატრულო კატარღა ARES-43**. წლის განმავლობაში ევროკავშირისა და აშშ-ის მხარდაჭერით სასაზღვრო პოლიციას გადაეცა **18 კვადროციკლი.**

საგანგებო სიტუაციების მართვა

- **მესტიასა** და **სტეფანწმინდაში** შეიქმნა სამაშველო მომზადებისა და რეაგირების სამმართველოს ქვეგანყოფილებები. მათთვის **აშენდა კოტეჯები, გადაეცათ სამაშველო აღჭურვილობა** და **თითო ავტომანქანა.** აღნიშნულ დაბებში დაწყებულია სამაშველო სამსახურის შენობების მშენებლობა;

- შსს აქტიურად მონაწილეობს საგანგებო სიტუაციების კუთხით **საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაში;**

- 2013 წლის ივლისში შსს-ში შეიქმნა **საექსპერტო-საკონსულტაციო საბჭო**, რომელიც ამზადებს რეკომენდაციებს მოსახლეობის უსაფრთხოების მაქსიმალური უზრუნველყოფისა და დაცვისთვის;

- საქართველოს მთავრობის განკარგულებით შექმნილმა უწყებათშორისმა სამუშაო ჯგუფმა, რომელსაც შსს ხელმძღვანელობს, შეიმუშავა **ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) საფრთხეების შემცირების ეროვნული სტრატეგიის პროექტი**. პროექტი უახლოეს მომავალში დასამტკიცებლად წარედგინება მთავრობას;

- 2013 წლის 9 ივლისს შსს-ს აკადემიის ტერიტორიაზე ევროკომისიის **„ქბრბ რისკების შემცირების გამოცდილების გაზიარების ცენტრები“-ს თბილისის რეგიონული სამდივნო** გაიხსნა, რომელიც 9 ქვეყანას აერთიანებს;

- საერთაშორისო დონეზე გადაწყდა 2014 წლის **ივნისში „ქბრბ მეცნიერებისა და შედეგების მართვის კონგრესის“ თბილისში ჩატარება**.

მიგრაციული პროცესების ეფექტიანი მართვა

- შინაგან საქმეთა სამინისტროში დაწყებულია **მიგრაციის სამსახურის ჩამოყალიბება;**

- სამინისტროში შემუშავდა **არალეგალ მიგრანტთა დროებითი განთავსების ცენტრის დებულება**. მშენებლობისთვის **მოხდა ადგილის გამოყოფა** და **დამტკიცდა არქიტექტურული პროექტი**. ცენტრის მშენებლობა **დაიწყება 2013 წლის ოქტომბერში** და დასრულდება **2014 წლის მარტისთვის**;

- 2013 წლის მარტში შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა **იმიგრაციის მონაცემთა ერთიანი ელექტრონული ბაზის სატესტო ვერსია;**

- მიგრაციული პროცესების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის დახვეწის მიზნით, მიგრაციის სამთავრობო კომისიის ფარგლებში, შემუშავდა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონპროექტი და ცვლილებების პროექტი სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში. პროექტით განისაზღვრა **საქართველოს ვიზის კატეგორიები, მისი გაცემის, გაგრძელებისა და მოქმედების შეწყვეტის წესი, ასევე, გადამყვანი კომპანიების ვალდებულებები, ბინადრობის ნებართვის გაცემის წესი და პირობები, არალეგალთა დაკავებისა და გაძევების პროცედურები** და სხვა. ცვლილებების პაკეტი წარედგინა მთავრობას საკანონმდებლო ორგანოში მისი შემდგომი ინიცირების მიზნით.

ხარისხიანი მომსახურების გაწევა

შსს-ს მომსახურების სააგენტო

- მომსახურების სააგენტოში დაიწყო **ახალი ნიმუშის საერთაშორისო მართვის მოწმობისა და ახალი TT სერიის შიდა ტრანზიტული სანომრე ნიშნის** გაცემა;

- **გაუმჯობესდა ინფრასტრუქტურა** და **მატერიალურ-ტექნიკური ბაზა** (რუსთავში - დამატებით უკუსვლით და პარალელური პარკირების საგამოცდო ელემენტები; ავტომობილების დასათვალიერებელი ამწე მოწყობილობები; სატვირთო სატრანსპორტო საშუალების მისაბმელები; პნევმატური იარაღის ტყვიის სიჩქარის მზომი ქრონოგრაფები; ახალი უნიფორმები; „E“ ბლოკის შენობა რუსთავში);

- 2013 წლის აგვისტო-სექტემბერში შემუშავდა **ახალი ელექტრონული პროგრამა**. აღნიშნული პროგრამა საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეებს საშუალებას აძლევს დოკუმენტების ელექტრონული სახით სააგენტოს ვებ-გვერდზე წარდგენის (ატვირთვის) საფუძველზე, შეცვალონ ან დაკარგვის შემთხვევაში აღადგინონ სატრანსპორტო საშუალებათა მართვის ან რეგისტრაციის მოწმობა;

- მომსახურების სააგენტოში დაწყებულია **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და მათი, როგორც საგზაო მოძრაობის სრულფასოვანი მონაწილეების, უსაფრთხოების დაცვისთვის საჭირო სისტემის შექმნა.**

ხარისხიანი მომსახურების გაწევა

სსიპ „112“

- განხორციელდა „112“-ის **სტრუქტურული რეორგანიზაცია;**
- **გაუმჯობესდა ინფრასტრუქტურა, სამუშაო სტანდარტები და პირობები;**
- ,,112“-ში პროგრამული შეფერხების თავიდან აცილებისთვის, 2013 წლის აგვისტოში, **ჩამოყალიბდა პროგრამისტთა ჯგუფი;**
- დაწყებულია **სადისპეტჩერო პროტოკოლების პრიორიტეტების** (AMPDS) სისტემისა და **შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ხელმისაწვდომი სერვისის დანერგვა;**
- 2013 წლის გაზაფხულზე დაიწყო **„112“-ის რებრენდინგი;**
- ,,112“-ის ცნობადობის გაზრდის მიზნით ხორციელდება **სარეკლამო კამპანიები და პროექტები;**
- განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა **მოზარდების ცნობიერების ამაღლებასა** და **ცრუ შეტყობინებების შემცირებას;**
- 2013 წლის სექტემბერში საქართველოს პარლამენტმა მიიღო **შსს-ს მიერ ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებები,** რომლის თანახმადაც გამკაცრდა სანქციები „112“-ის საგანგებო ნომრის არამიზნობრივი გამოყენებისა და ცრუ შეტყობინებების განხორციელებისთვის.

ხარისხიანი მომსახურების გაწევა

დაცვის პოლიციის დეპარტამენტი

- მუდმივად მიმდინარეობს **GPS სისტემის განვითარება**. ამჟამად, **GPS** მოწყობილობით აღჭურვილია დაცვის პოლიციისა და დამკვეთის 1500-მდე სატრანსპორტო საშუალება;
- განხორციელდა დაცვის პოლიციის მომსახურების **გადახდის სისტემის ბანკებთან ინტეგრირება;**
- ავტოპარკის განახლების მიზნით, დაცვის სამსახურისთვის შეძენილ იქნა **27 საინკასაციო ავტომობილი;**
- 2013 წლის ივნისში, ქ. გორში დაცვის პოლიციას **გადაეცა ახალი შენობა. შიდა ქართლში, ზესტაფონსა და სამცხე-ჯავახეთში გარემონტდა ძველი შენობები;**
- 2013 წლის თებერვლიდან დაცვის პოლიციაში **ინერგება მოქნილი ტარიფების სისტემა**, რომელიც მიზნად ისახავს დაცვის პოლიციის მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდას;
- 2013 წლის მაისში დაცვის პოლიციის დეპარტამენტში შეიქმნა **საფინანსო სისტემის ცენტრალიზებული ელექტრონული ბაზა**, რომელიც ხელს უწყობს აღრიცხვის ეფექტიანობის ზრდას, ინფორმაციის ოპერატიულ გაცვლას;
- დაცვის პოლიცია, საზოგადოებაში ცნობადობის გაზრდის მიზნით, თანამშრომლობს წამყვან სატელევიზიო და რადიო სადგურებთან.

შსს-ს აკადემიის შესაძლებლობების განვითარება

- შსს-ს აკადემიაში **შემუშავდა ახალი პროგრამები. გადამუშავდა** და **გაიზარდა სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო** და **თანამშრომლების გადამზადების პროგრამების ხანგრძლივობა;**

- სპეციალური მომზადების ცენტრში (უშიშროების თანამშრომელთა მომზადების ხაზით) შემუშავდა **ორი ახალი სასწავლო პროგრამა** და **გადამუშავდა არსებული პროგრამები;**

- სპეციალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობის მიღების მიზნით ტესტირება **გაიარა 3796-მა კანდიდატმა, საიდანაც შემდგომ ეტაპზე - გასაუბრებაზე - გამოცხადდა 1162 კანდიდატი.** საპოლიციო პროგრამებზე ჩაირიცხა **1819 მსმენელი**, აქედან დაამთავრა **1539-მა მსმენელმა;**

- შეიქმნა **მსმენელთა ცოდნისა** და **უნარების შეფასების უნივერსალური, 100 ქულიანი, ობიექტური** და **გამჭვირვალე სისტემა**. დეტალურად გაიწერა შეფასების **კომპონენტები** და **კრიტერიუმები**;

- 2013 წლის მარტში დაარსდა **მეხანძრე - მაშველთა ფაკულტეტი;**

- 2013 წლის 6 მარტს აშშ-ის ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამების ბიუროსა (INL) და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მხარდაჭერით, შსს-ს აკადემიაში გაიხსნა **იმიტირებული სასაზღვრო-გამტარი პუნქტი**. პროექტის მიზანია საქართველოს საზღვრის დაცვაში ჩართული სუბიექტების პირადი შემადგენლობის რეალურ ვითარებასთან მიახლოებულ პირობებში სწავლება.

შსს-ს აკადემიის შესაძლებლობების განვითარება

- მნიშვნელოვნად გადახალისდა საბიბლიოთეკო ფონდი, დაინერგა **ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი „open biblio“**;

- 2013 წლის ივლისში პროგრამებში საცეცხლე მომზადების კომპონენტის გაზრდის მიზნით, **დამატებით გაიხსნა ახალი სიმულაციური ტირი**;

- გარემონტდა **სასწავლო ოთახები, კაბინეტები, საერთო საცხოვრებელი** და **საცურაო აუზი** (სრული ფართობით 5381 კვ.მ);

- შსს-ს აკადემიაში დასკვნით ფაზაშია **„საპოლიციო რეგულირების სამაგისტრო პროგრამის“** შემუშავება;

- შსს-ს აკადემიამ უზრუნველყო **სამინისტროს მასშტაბით** (ოპერატიული დანაყოფები) **განხორციელებული პროფესიული ტესტირებისთვის** ტესტების შემუშავება, გაცემა, მიღება, ორგანიზება, შეფასება და შესაბამისი მონაცემების სტატისტიკური დამუშავება.

საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება

- 2013 წლის თებერვალში საქართველოს ოფიციალურად გადმოეცა **სავიზო ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა;**

- აღმოსავლეთ პარტნიორობის საზღვრის ინტეგრირებული მართვის საფლაგმანო ინიციატივის ფარგლებში, 2013 წლის თებერვალში, ხელი მოეწერა და ოფიციალურად დაიწყო **საქართველო–სომხეთის საზღვარზე ნინოწმინდა–ბავრას სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე შესაძლებლობების გაუმჯობესების** პროექტის განხორციელება;

- მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება **EUROPOL–**თან სტრატეგიული თანამშრომლობის შეთანხმების გაფორმებაზე. პროცესი გაგრძელდება **EUROPOL-**ის შიდა პროცედურების დასრულების შემდეგ;

- 2013 წლის მაისში, ბრიუსელში, შს **მინისტრმა გამართა მაღალი დონის შეხვედრები ნატო-სა და ევროკავშირის წარმომადგენლებთან;**

- 2013 წლის 7-8 ოქტომბერს საქართველოს შს მინისტრმა მონაწილეობა მიიღო ლუქსემბურგში გამართულ **ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების იუსტიციისა და შს მინისტრების შეხვედრაში**. მინისტერიალზე მიღებულ იქნა ერთობლივი დეკლარაცია სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ. ევროკომისარმა საშინაო საქმეებში სესილია მალმსტრომმა **დადებითად შეაფასა საქართველოს პროგრესი სავიზო ლიბერალიზაციის პროცესში;**

საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება

- თანამშრომლობის მნიშვნელოვანი პლატფორმაა **აშშ-სა და საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფები.** შსს მჭიდროდ თანამშრომლობს აშშ-ის სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასთან;

- 2013 წლის აპრილიდან აშშ-ის ხელშეწყობით მიმდინარეობს **საზღვაო ოპერაციების მართვის ერთობლივი ცენტრის მშენებლობა;**

- 2012 წლის ნოემბრიდან შსს-ს მიერ ხელმოწერილია **15 ორმხრივი** და **მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები დანაშაულთან ბრძოლის, სამართალდაცვით, ინფორმაციის გაცვლის, საგანგებო სიტუაციების, მართვის მოწმობის ურთიერთაღიარებისა და რეადმისიის სფეროებში;**

- 2013 წელს მიმდინარეობს და ინიცირებულია **რიგი პროექტები** ისეთ სფეროებში, როგორიცაა კიბერდანაშაულის, ოჯახური ძალადობის, კორუფციისა და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა, სანაპირო დაცვისა და კინოლოგიური სამსახურის განვითარება, ადამიანის უფლებები ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში, გენდერული თანასწორობა და სხვა;

საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა

- **საფინანსო** და **სამეურნეო სამმართველოებს** მიენიჭა მთავარი სამმართველოს სტატუსი, გაეზარდა ვალდებულებები და დაკომპლექტდა შესაბამისი კვალიფიციური კადრით;

- საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტში სრულფასოვნად ამოქმედდა **შიდა აუდიტის სამსახური**. შეიქმნა **ლოჯისტიკის, ანალიზისა და ანგარიშგების, პროცესების ოპტიმიზაციისა და სტანდარტიზაციის** მიმართულებები;

- 2013 წლის იანვრიდან, სამინისტროში **დაინერგა სხვადასხვა ტიპის სტანდარტული ანგარიშგების პრაქტიკა**, რაც აადვილებს ბიუჯეტის ხარჯვის და შესაბამისი ეკონომიის დადგენას;

- შსს-ს შესყიდვების ეფექტიანად დაგეგმვის მიზნით, სხვადასხვა უწყებას შორის შედგა თანამშრომლობა და განხორციელდა არაერთი გაერთიანებული ტენდერი, რომელთა **საერთო ეკონომიამ 2013 წლის აგვისტოს მდგომარეობით 5 000 000 ლარამდე შეადგინა;**

- პროცესების ოპტიმიზაციისა და სტანდარტიზაციის დანერგვით მოხდა სამინისტროს **საფინანსო–სამეურნეო პროცესების ანალიზი**. აღსანიშნავია საწვავის ტალონების სისტემიდან საბარათე სისტემაზე გადასვლა, რის შედეგადაც საწვავის ეკონომიამ 20% შეადგინა.

შსს-ს სოციალური პასუხისმგებლობა და საზოგადოებრივი აქტივობები

- **მრავალშვილიან ოჯახებს** დაუწესდათ ყოველთვიური **დანამატი**, რომელიც გაიცემა **534** თანამშრომელზე;

- შს მინისტრის 2013 წლის 1 მარტის ბრძანებით, ქორწინების, შვილის შეძენის ან ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში, სამინისტროს თანამშრომლები იღებენ **1250 ლარიან დახმარებას** (გაცემულია 1424 თანამშრომელზე);

- ფინანსდება სამინისტროს თანამშრომელთა და მათი ოჯახის წევრთა **გადაუდებელი სამედიცინო დახმარება** როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ (დღემდე, აღნიშნულ მიზნებს მოხმარდა 1 909 458 ლარი);

- 2013 წლის 27 აპრილს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით, ე.წ. „ხუდადოვის ტყის“ ტერიტორიაზე შსს-ს თანამშრომლებმა **კვიპაროსის 400 ნერგი დარგეს;**

- საპატრულო პოლიცია მთელი წლის განმავლობაში ჩართულია აქციაში –**„გაიღე სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე“.**

გმადლობთ ყურადღებისთვის !